პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუა ფარცხმაში მდებარე 255.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.03.22.080) ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10,8 კვ მ არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-მუხლის მე–2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუა ფარცხმაში მდებარე 255.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.03.22.080) განთავსებულ N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10,8 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით გაცემის თაობაზე.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ფარცხმაში მდებარე 255.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.03.22.080) განთავსებულ N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10,8 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 173 (ას სამოცდაცამეტი) ლარით.
3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: *ლელა მდინარაძე*